

სს დიჯიტრონი

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შინაარსი:

ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	5
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება.....	6

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია.....	7
2. მომზადების საფუძვლები.....	7
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები.....	7
4. ამონაგები.....	8
5. გაყიდვების თვითღირებულება.....	8
6. კომერციული ხარჯები.....	8
7. სერთო და ადმინისტრაციული ხარჯები.....	8
8. არამატერიალური აქტივები.....	9
9. სასაქონლო მატერიალური მარაგები.....	9
10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	9
11. ფული და ფულის ეკვივალენტები.....	10
12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	10
13. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან.....	11
14. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	12
15. პირობითი ვალდებულებები.....	12
16. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	12

სს დიჯიტრონი

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	შენიშვნა	2022	2021
ამონაგები	4	1,972,713	3,050,752
გაყიდვების თვითღირებულება	5	(1,475,278)	(2,523,377)
საერთო მოგება		497,435	527,375
სხვა შემოსავალი / (ხარჯები)		22	12,060
კომერციული ხარჯები	6	(293,624)	(339,636)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(352,196)	(779,878)
საექვო ვალების (ხარჯები) / შემოსავალი	10	(184,152)	(170,507)
საოპერაციო მოგება / (ზარალი)		(332,515)	(750,586)
ფინანსური შემოსავალი		21,651	21,115
კუსთა შორის სხვაობიდან მიღებული ზაარალი		(47,019)	(79,829)
მოგება დაბეგვრამდე		(357,883)	(809,300)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	(196)
წლის მთლიანი სრული მოგება / (ზარალი)		(357,883)	(809,496)

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2023 წლის 15 ოქტომბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

გიორგი ვაშტაშვილი

ფინანსური მენეჯერი

შორენა ბუაძე

7 - 15 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

სს დიჯიტრონი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	შენიშვნა	2022	2021
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
არამატერიალური აქტივები	8	38,335	56,952
		38,335	56,952
მოკლევადიანი აქტივები			
სასაქონლო მატერიალური მარაგები	9	295,262	324,313
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10	308,443	1,321,752
ფული და ფულის ეკვივალენტები	11	785,945	649,272
		1,389,650	2,295,337
სულ აქტივები		1,427,985	2,352,289
ვალდებულებები და კაპიტალი			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	1,472,339	1,978,760
გადასახდელი დივიდენდები		-	60,000
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		1,472,339	2,038,760
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		3,000	3,000
რეზერვები		1,800	1,800
გაუნაწილებელი მოგება		(49,154)	308,729
სულ კაპიტალი		(44,354)	313,529
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		1,427,985	2,352,289

7 - 15 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

სს დიჯიტრონი

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი მოგება	რეზერვები	სულ
2020 წლის 31 დეკემბერი	4,800	1,118,225	-	1,123,025
პერიოდის სრული მოგება/(ზარალი)	-	(809,496)	-	(809,496)
ცვლილებები კაპიტალში	(1,800)	-	1,800	-
გამოცხადებული დივიდენდი	-	-	-	-
2021 წლის 31 დეკემბერი	3,000	308,729	1,800	313,529
პერიოდის სრული მოგება/(ზარალი)	-	(357,883)	-	(357,883)
გამოცხადებული დივიდენდი	-	-	-	-
2022 წლის 31 დეკემბერი	3,000	(49,154)	1,800	(44,354)

7 - 15 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

სს დიჯიტრონი

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლიხთვის

(ლარში)

	2022	2021
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება დაბეგურამდე	(357,883)	(809,300)
კორექტირებები:		
ფინანსური (შემოსავალი) / ხარჯი	(21,651)	(21,115)
წმინდა (მოგება)/ხარალი საკურსო სხვაობიდან	47,019	79,829
ძირითადი საშუალებების გასვლიდან მიღებული (მოგება) / ხარალი	-	(4,126)
საექვო ვალების რეზერვის ცვლილება	184,152	(170,507)
ცვთა და ამორტიზაცია	18,616	15,352
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე	(129,747)	(909,867)
საშუალო კაპიტალის ცვლილება		
მარაგების (ზრდა) / კლება	29,051	93,390
სავაქრო და სხვა მოთხოვნების (ზრდა) / კლება	778,807	849,548
სავაქრო და სხვა ვალდებულებების ზრდა / (კლება)	(500,421)	231,220
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	177,690	264,281
გადახდილი მოგების გადასახადი	-	(196)
მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე მიღებული პროცენტები	21,651	21,115
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	199,341	285,200
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ფულადი სახსრები ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან	-	12,574
არამატერიალური აქტივების შეძენა	-	(50,950)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო	-	(38,376)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
გადახდილი დივიდენდები	(60,000)	(204,242)
მიღებული / (გადახდილი) სესხები	-	-
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	(60,000)	(204,242)
წმინდა ფულადი სახსრების ზრდა	139,341	42,582
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	649,271	686,518
საკურსო სხვაობის ეფექტი	(2,667)	(79,829)
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	785,945	649,271

1. ზოგადი ინფორმაცია

სს დიჯიტრონი (შემდგომში „კომპანია“) რეგისტრირებულია (ID: 205033444) საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად 2006 წელს.

კომპანიის იურიდიული მისამართია ილია ჭავჭავაძის გამზირი 34, თბილისი, საქართველო. ხოლო ფაქტიური მისამართია თარხნიშვილის ქუჩა #2, 0179, თბილისი, საქართველო.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა საინფორმაციო ტექნოლოგიურ სისტემებთან დაკავშირებული საკონსულტაციო მომსახურება.

კომპანიის სამართლებრივი ფორმა 2021 წლის 19 აპრილიდან არის სააქციო საზოგადოება. კომპანიის კაპიტალი იყოფა 3,000 ცალ A კლასის (ჩვეულებრივი) აქციად, სადაც ერთი აქციის ნომინალური ღირებულება შეადგენს 1 ლარს.

კომპანიის აქციონერები წარმოდგენილია ცხრილის სახით:

აქციონერი	წილი
გიგა ვახტანგაშვილი	60%
შპს ზიდო სტარტაპ ფონდი	40%

2. მომზადების საფუძვლები**მომზადების საფუძვლები**

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას. ის, ასევე, მოითხოვს ხელმძღვანელობისგან, რომ მსჯელობის საფუძველზე მოახდინოს ყველაზე შესაფერისი სააღრიცხვო პოლიტიკის მიღება და დანერგვა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში.

შეფასების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

რიცხვები ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულია ლარამდე დამრგვალებით, თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული, მოცემული ფინანსური ანგარიშგების შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს იმ ქვეყნის ვალუტას, სადაც ფუნქციონირებს (ფუნქციონალური ვალუტა) - ქართულ ლარს. კომპანიის საანგარიშგებო წელი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ იგი განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ხელმძღვანელობასა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განაგრძონ კომპანიის ბიზნესი საქართველოში, ხელმძღვანელობისთვის არ არის ცნობილი რაიმე ისეთი არსებითი გაურკვევლობა, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ეჭვი შეიტანოს კომპანიის უნარზე გააგრძელოს საქმიანობა. შესაბამისად, ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია კომპანიისთვის.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისთვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

კომპანია ახდენს შეფასებებისა და დაშვებების გადახედვას საწარმოს უწყვეტობის საფუძველზე. სააღრიცხვო შეფასების გადასინჯვის შედეგები აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც შეფასება იქნა გადახედვილი, თუ აღნიშნული ეხება

სს დიჯიტრონი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ლარში)

მხოლოდ ამ პერიოდს; ან გადასინჯვისა და მომავალ პერიოდებში, თუ გადახედვა ეხება ორივე, მიმდინარე და მომავალ პერიოდებს.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივები გაუფასურებაზე ფასდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ფინანსური აქტივები ითვლება გაუფასურებულად, თუ არსებობს ობიექტური რწმუნება იმისა, რომ ერთი ან მეტი ფაქტორის გამო, რომელსაც ადგილი ჰქონდა აქტივის წარმოქმნის შემდეგ და მომავალში მისაღებ ფულად სახსრებზე აქვს უარყოფითი გავლენა. აღნიშნული კომპანიას ავალდებულებს შეაფასოს მომავალში მისაღები ფულადი სახსრები. მეორეს მხრივ, აღნიშნული შეფასებები არ არის ბოლომდე სანდო, რადგან მოიცავს მომავალ დაშვებებს. მნიშვნელოვანმა და განუქცვრეტელმა ცვლილებებმა, იმ დაშვებებსა და შეფასებებში, რომლებიც მონაწილეობენ გაუფასურების დაანგარიშებაში, შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი სხვაობა ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი ინფორმაციისგან.

4. ამონაგები

პროგრამული უზრუნველყოფის გაყიდვიდან
მომსახურების გაწევიდან

2022	2021
422,060	1,474,610
1,550,653	1,576,142
1,972,713	3,050,752

5. გაყიდვების თვითღირებულება

დანახარჯები პერსონალზე
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება
შემენილი მომსახურებები
სხვა პირდაპირი ხარჯები

2022	2021
(1,185,874)	(1,587,201)
(138,093)	(516,336)
(123,026)	(391,905)
(28,285)	(27,935)
(1,475,278)	(2,523,377)

6. კომერციული ხარჯები

დანახარჯები პერსონალზე
სხვა კომერციული ხარჯები

2022	2021
(220,957)	(265,278)
(72,667)	(74,358)
(293,624)	(339,636)

7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

შემენილი მენეჯმენტ სერვისი*
ინფორმაციული უსაფრთხოების და პროგრამული
უზრუნველყოფის ხარჯები
ოფისის იჯარა
კომუნალური ხარჯები
ძირითადი საშუალებების იჯარა

2022	2021
(152,311)	(442,365)
(71,023)	(134,954)
(79,455)	(137,966)
(27,915)	(46,022)
(21,492)	(18,571)
(352,196)	(779,878)

სს დიჯიტრონი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ლარში)

*კომპანია შეკავშირე საწარმოსგან იღებს კომპლექსურ საოფისე ადმინისტრაციული საქმიანობის მომსახურებას, აღნიშნული მომსახურება თავის თავში მოიცავს ოფისის და ძირითადი საშუალებების იჯარას, ოფისის და საოფისე აღჭურვილობის შენახვის მომსახურებას, საბუღალტრო მომსახურებას, ადამიანური რესურსების მართვის, მარკეტინგული, ბრენდის და საზოგადოებასთან ურთიერთობის, შესყიდვების და ოფისის უზრუნველყოფის, შესაბამისობის, ხარისხის მართვის და სხვა ადმინისტრაციულ მომსახურებებს.

8. არამატერიალური აქტივები

კომპანიის არამატერიალური აქტივები შედგება პროგრამა ბალანსისა და სხვა ლიცენზიებისგან. არამატერიალურ აქტივებზე ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, სასარგებლო გამოყენების ვადა 1-დან 3 წლამდე.

არამატერიალური აქტივების 2022 წლის ცვეთა 18,616 ლარი, ხოლო ნარჩენი საბალანსო ღირებულება 38,335 ლარია.

9. სასაქონლო მატერიალური მარაგები

	2022	2021
პროგრამული პროდუქტები	284,880	313,952
სხვა მარაგები	10,382	10,361
	295,262	324,313

10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2022	2021
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო მოთხოვნები	517,102	1,323,198
საექვო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი	(310,910)	(250,291)
სხვა მოთხოვნები	16,992	-
არაფინანსური აქტივები		
მოძღვრებულზე გადახდილი ავანსები	59,245	38,622
საგადასახადო აქტივები	-	66,132
სახელმწიფროებო აქტივები	26,014	144,091
	308,443	1,321,752

ცვლილებები სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვში

	2022	2021
რეზერვის ნაშთი 1 იანვრისთვის	(250,291)	(128,300)
უიმედო რეზერვის ჩამოწერა	58,533	9,567
აღდგენილი რეზერვები	-	235
წლის განმავლობაში შექმნილი რეზერვები	(150,642)	(139,658)
საკურსო სხვაობის ეფექტი	31,490	7,865
რეზერვის ნაშთი 31 დეკემბრისთვის	(310,910)	(250,291)

სს დიჯიტრონი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
(ლარში)

ჩამოწერილი მოთხოვნები	(33,510)	(31,083)
აღდგენილი წინა პერიოდის უიმედო ვალები	-	-
საექვო ვალუბის (ხარჯები) / შემოსავალი	(184,152)	(170,507)
პერიოდის საექვო ვალუბის ხარჯები	(184,152)	(170,741)
პერიოდის შემოსავალი საექვო ვალუბის ამოღებით	-	235

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას, დაფარვის მოკლევადიანობის გამო.

11. ფული და ფულის ეკვივალენტები

	2022	2021
ფულადი სახსრები ეროვნულ ვალუტაში	780,178	640,657
ფულადი სახსრები უცხოურ ვალუტაში	5,767	8,615
	785,945	649,272

კომპანიას 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლის განმავლობაში მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე დაერიცხა საპროცენტო შემოსავალი 21,651 ლარის ოდენობით (2021 წელს - 21,115 ლარი).

ფული რეზიდენტ ბანკში 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით განთავსებული იყო მხოლოდ სს „საქართველოს ბანკში“ და სს „თიბისი ბანკში“.

12. საეჭრო და სხვა ვალდებულებები

	2022	2021
ფინანსური ვალდებულება		
საეჭრო ვალდებულება	805,734	1,573,479
ვალდებულება თანამშრომლების მიმართ	135,029	103,122
გადასახდელი გადასახადები	6,873	-
არაფინანსური ვალდებულება		
მიღებული ავანსები	524,703	302,159
	1,472,339	1,978,760

ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას, დაფარვის მოკლევადიანობის გამო.

სს დიჯიტრონი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
(ლარში)

13. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ფინანსური ანგარიშგების მუხლი	კავშირის სახე	დაკავშირებული მხარის ბალანსი	სულ
ამონაგები		48,965	1,972,713
პროგრამული უზრუნველყოფის გაყიდვიდან	მეკავშირე საწარმო	988	
მომსახურების გაწევიდან	მეკავშირე საწარმო	47,977	
გაყიდვების თვითღირებულება		2,318	1,475,278
პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯები	მეკავშირე საწარმო	291	
შეძენილი მომსახურებები	მეკავშირე საწარმო	911	
სხვა პირდაპირი ხარჯები	მეკავშირე საწარმო	1,117	
კომერციული ხარჯები		14,597	293,624
დანახარჯები პერსონალზე	მეკავშირე საწარმო	10,975	
სხვა კომერციული ხარჯები	მეკავშირე საწარმო	3,622	
სერთო და ადმინისტრაციული ხარჯები		317,487	352,196
შეძენილი მენეჯმენტ სერვისი	მეკავშირე საწარმო	126,873	
ინფორმაციული უსაფრთხოების და პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯები	მეკავშირე საწარმო	61,752	
ოფისის იჯარა	მეკავშირე საწარმო	79,455	
კომუნალური ხარჯები	მეკავშირე საწარმო	27,915	
ძირითადი საშუალებების იჯარა	მეკავშირე საწარმო	21,492	
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		41,419	308,443
სავაჭრო მოთხოვნები	მეკავშირე საწარმო	2,537	
მომწოდებელზე გადახდილი ავანსები	მეკავშირე საწარმო	37,801	
სახელმწიფოებო აქტივები	მეკავშირე საწარმო	1,081	
სავაჭრო და სხვა ვალდებულება		730,532	1,472,339
სავაჭრო ვალდებულება	მეკავშირე საწარმო	730,532	

უმაღლესი ხელმძღვანელობის მოკლევადიანი სარგებელი 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის შეადგენს 122,900 ლარს.

სს დიჯიტონი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ლარში)

14. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ არ ყოფილა ისეთი მოვლენა, რომელიც საჭიროებს ფინანსურ ანგარიშგებაში გაშიფვრას.

15. პირობითი ვალდებულებები

დაბეგვრის გაუთვალისწინებელი გარემოებები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა არის სხვადასხვაგვარად ინტერპრეტაციისა და ცვლილების საგანი. ხელმძღვანელობის მხრიდან საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების მიერ ინტერპრეტაციებისაგან და კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის მანძილზე.

საგადასახადო ვალდებულებებთან დაკავშირებული ანარიცხები აღიარდება მაშინ, როდესაც თანხის გაზომვა საიმედოდ არის შესაძლებელი. სავარაუდო ვალდებულებებზე ანარიცხი არ აღიარდება, სანამ არ მოხდება შესაბამისი შეფასება. კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობიდან გამომდინარე, ადგილი არ ექნება რაიმე სახის დამატებითი ვალდებულების დარიცხვას, გარდა იმისა, რაც თვითონ აქვს აღრიცხული შესაბამის პერიოდებში.

პოტენციურად მაქსიმალური გადასახდელი მოგების გადასახადი, რომელიც შეიძლება კომპანიას წარმოექმნას გაუნაწილებელი მოგების მთლიანად დივიდენდის სახით განაწილების შემთხვევაში, არ არის აღიარებული ფინანსურ ანგარიშგებაში.

16. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ.

აპერაციები უცხოურ ვალუტაში

კომპანიის სამუშაო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი („ლარი“). უცხოურ ვალუტაში გახორციელებული ტრანზაქციები თავდაპირველად აღიარდება სამუშაო ვალუტაში ტრანზაქციის გახორციელების თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. საანგარიშგებო თარიღში უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებული მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება ხორციელდება ამ თარიღისათვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. გადაფასებით წარმოქმნილი საკურსო სხვაობები აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსი			
	აშშ დოლარი	ევრო	ფუნტი სტერლინგი
კურსი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	3.0976	3.5040	4.1737
კურსი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	2.7020	2.8844	3.2581

ფინანსური ინსტრუმენტები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით. მოთხოვნებს არ ერიცხება სარგებელი, ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, კომპანია აფასებს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებებს, რათა განსაზღვროს, ხომ არ არსებობს აქტივის გაუფასურების რაიმე ობიექტური მტკიცებულება. გაუფასურების შემთხვევაში გაუფასურების ზარალი აღიარდება ხარჯად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით (მოიცავს გარიგების ხარჯებს), სადაც ვალდებულებებს არ ერიგება სარგებელი. პროცენტური ვალდებულებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე, ფულის გზაში და მოთხოვნადე დეპოზიტებს, ასევე 3 თვემდე ვადიან დეპოზიტებს. ფული და ფულის ეკვივალენტები აღიარებულია ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (i) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის გასვლა; ან (ii) ჯული არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

დაბეგრა

საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად მოგების გადასახადით იბეგრება წმინდა მოგების განაწილება. საანგარიშგებო პერიოდში მოგების გადასახადის მოქმედი განაკვეთი არის 15%, ტექნიკურად, გადასახადის დაანგარიშების მიზნებისთვის დასაბეგრ მოგებას მიესადაგება შემდეგი განაკვეთი - 15%/85%. მოგების გადასახადის გადახდა ხდება ფიზიკურ და არა-რეზიდენტ (როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ) პირებზე გაცემულ დივიდენდზე.

საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, მოგების გადასახადით იბეგრება შემდეგი ოპერაციები/გადახდები:

- დივიდენდის გადახდა
- სახელშეკრულებო და საბაზრო ფასს შორის სხვაობა
- ხარჯები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან
- გადახდები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან
- საქონლის უსასყიდლო მიწოდება
- ლიმიტის ზემოთ წარმომადგენლობითი ხარჯები

კომპანია აღიარებს მოგების გადასახადის ხარჯს და ვალდებულებას იმ პერიოდში, როდესაც ხდება დივიდენდის გაცემა, მიუხედავად იმისა, რომელი პერიოდის დივიდენდის გაცემას ეხება ან როდის მოხდა გამოცხადება.

საქართველოში არსებული საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო და ფინანსურ ბაზებს შორის სხვაობები არ წარმოშობენ გადაუადებულ საგადასახადო აქტივსა და ვალდებულებას.

გადასახადები აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

დივიდენდები

დივიდენდები საკუთარ კაპიტალში აღიარდება, როგორც იმ პერიოდის კაპიტალის შემცირება, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები. დივიდენდები, რომლებიც გამოცხადებულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ, განიხილება, როგორც შემდეგი მოვლენა და შესაბამისად აისახება განმარტებით შენიშვნაში.

ამონაგები

შემოსავლის განსაზღვრა ხდება საქონლის ან მომსახურების გაყიდვიდან მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავლები წარდგენილი ფასდაკლებების გამოკლებით. კომპანია ამონაგებს აღიარებს, როცა შესრულებულია შემდეგი პირობები:

(ა) ამონაგების ოდენობის შეფასება შესაძლებელია საიმედოდ;

(ბ) მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში;

(გ) შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ შეფასება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს; და

(დ) შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესასრულებლად საჭირო მომავალი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

საოპერაციო იჯარა

კომპანია ქირაობს საოფისე ფართს თავისი საოპერაციო საქმიანობის განსახორციელებლად და აკლასიფიცირებს, როგორც საოპერაციო იჯარას. საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან.

თანამშრომელთა ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო დასაქმებულისგან.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ანგარიშგების შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით

შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასგლა არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა შესაძლებელია – აისახება განმარტებითი შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

ვალდებულების წარმომშობი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ კომპანიას არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა, და მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები. სამართლებრივი ვალდებულება გამომდინარეობს:

- გარიგებიდან (ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ან ნაგულისხმევი პირობების გათვალისწინებით);
- კანონმდებლობიდან; ან
- სხვა სამართლებრივი ქმედებიდან.

კონსტრუქციული ვალდებულება გამომდინარეობს კომპანიის ქმედებიდან, სადაც:

- წარსულში დადგენილი პრაქტიკიდან, კომპანიის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკიდან ან სპეციფიკური მიმდინარე ანგარიშგებიდან გამომდინარე, კომპანია მიაჩნის სხვა მხარეებს, რომ იგი იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და
- შედეგად, მესამე მხარეს კომპანიასთან მიმართებაში გააჩნია გარკვეული მოლოდინი, რომ იგი შეასრულებს ამ პასუხისმგებლობებს.